დეგები დაიმიდებელი აღმოჩნ-
და, და წელს სისტემა მოქმედებ-
და უკვე როგორც არა ექსპერიმე-
ნტული, არამედ — საწარმოო. ამის
მეოხებით მინიმალური დანახარ-
ჯებით მიღწეულია მაქსიმალური
შედეგები,ხოლო სისტემის გამო-
ყენების ეკონომიკურმა ეფექტმა
ორ წელიწადში 600 ათას მანეთს
გადაჭარბა. არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანია ზნეობრივ-ფსიქოლოგიუ-
რი ეფექტი, რომელსაც რაიონში
ამ სიახლის დანერგვის შედეგად
მიაღწიეს. ადამიანებმა სხვა თვა-
ლით შეხედეს დარგის, მეურნეო-
ბებისა და მოლიანად რაიონის შე-
საძლებლობებს, გამოსახეს რეზე-
რვები, ყოველივე ამას კი უთუოდ
მოჰყვება მომავალში დიდი საწარ-
მოო უკუგება.

ამრიგად, მეცნიერებასთან კავ-
შირმა ბევრი რამ გააკეთა, განუ-
მტკიცა დამიანებს თავიანთ შესა-
ძლებლობათა რწმენა და ახლა ისი-
ნი უფრო აწყობილად, ორგანიზე-
ბულად, უფრო მეტი უკუგებით
მუშაობენ.

ჩვენი გამოცდილება მოწმობს,
რომ როცა ახალი მიჯნის მისაღწე-
ვად ვემზადებით, განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება უნდა დავუთმოთ
ადამიანთა საქმიანი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. ექსპერი-
მენტის დაყენების წინ ჩვენ მოვა-
წყვეთ სპეციალური კურსები, ჩა-
ვატარეთ საქმიანი ასპარეზობის
სერია.

საქართველოს მწერალთა კავ-
შირის გამგეობის მდივანმა ამხ.
გ. შ. ციცაშვილმა აღნიშნა, რომ
უკანასკნელი წლების მანძილზე
რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად
გაიზარდა შემოქმედებითი კავში-
რებისა და საერთოდ კულტურის
მუშაკთა აქტიურობა. ქართველმა
მწერლებმა, თეატრის, კინოს, ტე-
ლევიზიის მოღვაწეებმა, მხატვ-
რებმა, კომპოზიტორებმა შექმნეს
ლიტერატურისა და ხელოვნების
მაღალიდეური ნაწარმოებები, რო-
მლებმაც დიდმნიშვნელოვანი რო-
ლი შეასრულეს ახალი საზოგადო-
ების ცხოვრებაში ნეგატიური მო-
ვლენების დაძლევისათვის, მთელი
მორალურ-ფსიქოლოგიური კლი-
მატის გაჯანსაღებისათვის ბრძო-
ლაში. ეს იმის შედეგია, რომ რეს-
პუბლიკის პარტია და მთავრობა
ყურადღებას და მზრუნველობას
არ აკლებენ ლიტერატურისა და
ხელოვნების მოღვაწეებს. საკმა-
რისია თქვას, რომ რესპუბლიკის
ხუთი მწერალი არჩეულია საქართ-
ველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის წევრად, ოთხი კაცი —
პარტიის თბილისის საქალაქო კომი-
ტეტის წევრად, ბევრნი — პარტიის
საოლქო, საქალაქო და რაიონუ-
ლი კომიტეტების წევრებად. სამი
მწერალი სსრ კავშირის უმაღლეს
საბჭოს დეპუტატია, ხუთი —
საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს დეპუტატი, ხოლო ოცდაათ-
ზე მეტი — ავტონომიური რეს-
პუბლიკების უმაღლესი საბჭოების,
საოლქო, საქალაქო და რაიონული
სახალხო დეპუტატთა საბჭოების
დეპუტატი, ანალოგიური სურათია
სხვა შემოქმედებითს კავშირებშიც.
ლიტერატურისა და ხელოვნების
მოღვაწეთა ესოდენ ფართო წარ-
მომადგენლობა რესპუბლიკის ხელ-
მძღვანელ ორგანოებში არასა-
დროს არ გვქონია.

ასეთი მზრუნველობა და ყურა-
დღება სტიმულს აძლევს ლიტერა-
ტურისა და ხელოვნების მოღვა-
წეთა შემოქმედებითს აქტიურო-
ბას, შთააგონებს მათ ჩვენი საზო-
გადოების შესაფერისი ნაწარმოე-
ბების შექმნას.

ორატორმა სერიოზული ყურა-
დღება დაუთმო პოლიგრაფიული
ბაზის კადრების მომზადების საკი-
თხს, ვინაიდან ეს ბაზა ჩვენში მნი-
შვნელოვნად ჩამორჩა.

მარნეულის მეკარტოფილეობის
საბჭოთა მეურნეობის მეორე აგრ-
როგანყოფილების მმართველი ამხ.
ა. ჯ. ფატულაევი შეეხო საშუალო
ხელმძღვანელი რგოლის კადრების
— ბრიგადირების, ფერმის გამ-
გეების, აგროგანყოფილების მმა-
რთველების პრობლემას. ჩვენს რა-
იონში, თქვა მან, 50-ზე მეტი აგ-
როგანყოფილების მმართველი და
400-ზე მეტი ბრიგადირი და ფე-
რმის გამგეა. ისინი უაღრესად პა-
სუხსაგებ სამუშაოს ასრულებენ,
უზრუნველყოფენ მეათე ხუთწლე-
დის დიდი და დაძაბული გეგმების
შესრულებას. მაგრამ მათდამი მე-
ტი ყურადღებაა საჭირო.

სოფლის მეურნეობის საშუალო
რგოლის კადრების პრობლემაზე
რამდენიმე დადგენილება მიიღეს
სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და
საბჭოთა მთავრობამ, საქართვე-
ლოს კომპარტიის ცენტრალურმა
კომიტეტმა, რესპუბლიკის მინის-
ტრთა საბჭომ და საქართველოს
სსრ სოფლის მეურნეობის სამინი-
სტრომ. განსაკუთრებით უნდა აღი-
ნიშნოს სკკპ ცენტრალური კომი-
ტეტისა და სსრ კავშირის მინის-
ტრთა საბჭოს დადგენილება „ბრი-
გადების, ფერმების, განყოფილე-
ბებისა და საშუალო რგოლის სხვა
ქვეგანაყოფების ხელმძღვანე-
ლებად სოფლის მეურნეობის სპე-
ციალისტთა გადასვლის სტიმული-
რების დამატებითს ღონისძიებათა
შესახებ“. სამწუხაროდ, ეს დად-
გენილება ჩვენში ჯეროვნად არ
სრულდება. ადამიანები ხშირად
უხალისოდ მიდიან ბრიგადებში,
ფერმებსა და აგროგანყოფილებე-
ბში სამუშაოდ. ეს იმიტომ ხდება,
რომ მათ არ უქმნიან შრომისა
და დასვენების შესაფერის პირო-
ბებს, ცუდად წყდება ბრიგადირთა
მატერიალური და მორალური სტი-
მულირების, მათი როლისა და ავ-
ტორიტეტის ამაღლების საკითხე-
ბი, არ არის ორგანიზებული მათ-
თვის კლასის წოდებათა მინიჭება,
რაც 20-30 პროცენტით გაუდიდებ-
და მათ ხელფასს.

ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა
მნიშვნელოვნად ამაღლებს
სოფლად საშუალო რგოლის ხელ-
მძღვანელთა როლსა და ავტორი-
ტეტს.

ჯანსაღმა დ საქმიანმა ატმოს-
ფერომ, რომელიც ჩვენს რესპუბ-
ლიკაში დამყარდა, თქვა საქართ-
ველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარ-
ემ ამხ. **თ. ი. მოსაშვილმა**, უაღრეს-
ად ხელშემწყობი ვითარება შექ-
მნა მუშათა კლასის ყველაზე მასობ-
რივი ორგანიზაციის — პროფკავ-
შირების როლის ამაღლებისათვის.
ახლა პროფკავშირები საქართვე-
ლოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის ყოველდღიური ხელ-
მძღვანელობით თავიანთი განვითა-
რების თვისებრივად ახალ ეტაპზე
იმყოფებიან. მათ შეძლეს ეპოვათ
და დაეკავებინათ თავიანთი ღირ-
სეული ადგილი საზოგადოებრივ-
პოლიტიკურ ცხოვრებაში, უფრო
რაციონალურად და წარმატებით
ასრულებენ თავიანთ ფუნქციას,
აცნობენ ხალხს პარტიის სიტყვას,
პარტიის საქმეს.

პროფკავშირთა ავტორიტეტისა
და გავლენის ასეთ ზრდას ხელს
უწყობს ორი ძირითადი ფაქტორი:
ჯერ ერთი, პროფკავშირების მიერ
პარტიის თბილისის საქალაქო კო-
მიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრა-
ლური კომიტეტის დადგენილების
განსახორციელებლად პარტიული
ორგანიზაციის კურსის მტკიცე და
სრული მხარდაჭერა; მეორე, იმ
დიალექტიკური პროცესის მაცოც-
ხლელი ზემოქმედება პროფკავ-
შირებზე, რომელიც განვითარე-
ული სოციალიზმის პირობებში
მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პრო-
ფკავშირების ცხოვრებაში. ჩვენს
დღეებში პირველად განხორციელ-
და პრაქტიკულად ის თეორიული
დებულება, რომ პროფესიული კა-
ვშირები წარმოადგენენ დიდ ძა-
ლას, რომელიც მოქმედებს ყველა
შრომითს კოლექტივში, ანუ იქ,
სადაც ადამიანებს მნიშვნელოვნა-
ნოდ უყალიბდათ ცხოვრება-
სადმი, საზოგადოებისადმი დამო-
კიდებულება.

პროფკავშირულ სამუშაოზე მო-
დიან მუშაკები პარტიული და კო-
მკავშირული ორგანოებიდან. ამავე
დროს პროფკავშირული წრთობის
მიღების შემდეგ, პროფსაბჭოს აპ-
არატისა და სხვა პროფორგანე-
ბის მუშაკებს ხშირად აწინაურე-
ბენ სამუშაოზე პარტიულ, საბჭო-
თა და სამეურნეო ორგანოებში.
და ეს ნორმად იქცა. ასეთი რამ
წინათ თითქმის არ შეიმჩნეოდა.

„თბილისკალაქშენის“ მშენე-
ბელთა კომპლექსური ბრიგადის
ხელმძღვანელმა ამხ. **ტ. ი. ქართვე-
ლიშვილმა** თქვა, რომ სამშენებლო
სამმართველოებს, ტრესტებს ცუ-
დად ამარაგებენ სამენი მასალით,
არმატურით, ფოლადის ფურ-
ცლით, სანტექნიკური კვანძებითა
და სხვა ნაწარმით. მშენებელთა სა-
ჭიროებებისადმი მომმართველ
ორგანიზაციათა ასეთი დამოკიდებ-
ულება ხელს გვიშლის უკეთ მუშაობ-
ა, სახელმწიფო დავალებათა გა-
დაჭარბებით შესრულებაში. ითქვა
ისიც, რომ სამშენებლო სამუშაოთა
დაბალი ხარისხის მიზეზია ობიექ-
ტებში გაგზავნილი ნაკეთობების
მდარე ხარისხოვნება, ყოველივე
ეს უარყოფითს გავლენას ახდენს
მუშის განწყობილებაზე და იგი
ხშირად იძულებული ხდება და-
ტოვოს სამუშაო, ეძებოს უკეთესი
ადგილი. ამის შედეგია კადრების
დენადობაც.

ამხ. ქართველიშვილმა აგრეთ-
ვე თქვა, რომ მშენებლობებზე
ბევრი ახალგაზრდა მიდის, მაგ-
რამ მათთან არ წარმოებს გარ-
კვეული მუშაობა, ზოგან ისინი
თავიანთი თავის ამარა არიან მი-
ტოვებულნი. ჩვენი საერთო ამო-
ცანაა ყოველნაირად შევიწყოთ
ხელი დამრიგებლობას, ახალგაზ-
რდა შევესვნის აღზრდას საყვა-
თესო შრომითი ტრადიციებით,
დავეხმაროთ ადამიანს განსაზღ-
ვროს მთავარი, ხელი შევიწყოთ
კეთილშობილური მიზნების მიღ-
წევაში, აღმოვფხვრათ ხარვეზები.

ტრიბუნაზეა საქართველოს კო-
მპარტიის სამხრეთ ოსეთის საო-
ლქო კომიტეტის პირველი მდივა-
ნი ამხ. **ფ. ს. სანაკოევი**. მან
თქვა, რომ კადრების პოლიტიკა
ის მძლავრი ბერკეტია, რომლის
მეშვეობითაც პარტია ზეგავლენს
ახდენს მთელ საზოგადოებ-
რივ განვითარებაზე, აღნიშნა,
რომ კადრების შერჩევა და აღზ-
რდა უნდა წარმოებდეს ვ. ი. ლე-
ნინის მიერ დასაბუთებული პრი-
ნციპით — მათი პოლიტიკური და
საქმიანი თვისებების მიხედვით.

შემდეგ ამხ. სანაკოევმა მოიყვა-
ნა იმის მაგალითები, თუ რა შე-
უთანხმებლად მუშაობენ ადგილ-
ული სამინისტროები და უწყე-
ბები ოლქის პარტიულ და სამეუ-
რნეო ორგანოებთან, პრეტენზია
გამოთქვა რესპუბლიკის სოფლის
მეურნეობის სამინისტროს, სახ-
მომართველობის ხელმძღვანელობის
მიმართ, რომლებიც პასუხსაგებ
თანამდებობებზე მუშაკთა ჯგუფ-
ავნისას არ ითვალისწინებენ ად-
გილობრივი პარტიული ორგანოე-
ბის აზრს. მაგალითად, ცხინვალ-
ში ერთ-ერთმა მუშამა საკუთარი
ბრძანებით დანიშნა თავისი თავი
ტარის ბაზის დირექტორის მოვა-
ლეობის შესრულებლად. საკმა-
რისია გაეცნო ამ ხელმძღვანე-
ლის ანკეტასა და ვინაობას, რომ
დარწმუნდე — ასეთი „კადრები“
ყოველთვის მფარველების შემ-
წეობით ახერხებენ ხელმძღვანელ
სამუშაოზე დაწინაურებას, კად-
რების ამგვარ „შერჩევას“ გადა-
მჭრელი, მფარველობელი ბრძოლა
უნდა გამოვიცხადოთ.

გამოდის საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-
პრეზიდენტი, საქართველოს სსრ
მეცნიერებისა და ტექნიკის სა-
ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდო-
მარე ამხ. **ი. გ. გვერდწითელი**.
მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა საინ-
ტერესო მუშაობა გასწია სახელ-
მწიფო კომიტეტმა მეცნიერთა
კადრების მოსამზადებლად.

რესპუბლიკაში მეცნიერებისა
და ტექნიკის სახელმწიფო კომი-
ტეტთან მოქმედებს ხელმძღვანელ
მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკა-
ციის ამაღლების კურსები. თუ
1978 წელს სწავლება ტრადიციურ-
ლი, ლექციური მეთოდით წარ-
მოებდა, მსმენელთა კონტინგენტს
ეკ შემთხვევით არჩევდნენ, კერ-
ძოდ, იღებდნენ იმათაც, რომლე-
ბიც საწარმოს მაინცდამაინც არ
სჭირდებოდა, ახლა მდგომარეო-
ბა მკვეთრად შეიცვალა, მეცნიე-
რება უფრო დაუახლოვდა წარ-
მოებას.

კურსებზე სწავლების აქტიური
მეთოდების გამოყენებამ მკვეთ-
რად ამაღლა მსმენელთა შემოქ-
მედებითი აქტიურობა. შემაჯამე-
ბელმა გასაუბრებამ ცხადყო,
რომ, ჩვეულებრივ, აქ შესრულ-
ებული საკურსო ნამუშევრები
მზად არის წარმოებაში დანერ-
გვისათვის. ორგანიზებულია კურ-
სების მჭიდრო თანამოქმედება
სხვა ინსტიტუტებთან, კერძოდ
მართვისა და ინფორმაციის პრო-
ბლემათა ინსტიტუტთან. ამ ინს-
ტიტუტის ავტომატიზებული სის-
ტემა უზრუნველყოფდა მსმენელ-
თა საკურსო სამუშაოებს პატენ-
ტთა საერთაშორისო ბიუროდან
მიღებული სპატენტო ინფორმა-
ციით. კურსების მსმენელთა ერ-
თი ნაწილი სწავლის დამთავრე-
ბის შემდეგაც განაგრძობს სამეა-
ნ კონტაქტებს კურსებთან.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ
მართვის პრობლემის გადაჭრა —
ეს უწინარეს ყოვლისა სამმართ-
ველო კადრების მომზადების
პრობლემის გადაჭრაა. თუ გა-
ვაანალიზებთ მეცნიერების მარ-
თვის ყველა რგოლს თავიდან
ბოლომდე, ვნახავთ, რომ სამეცნ-
იერო-კვლევითი ინსტიტუტებისა
და საკონსტრუქტორო ბიუროების
ხელმძღვანელთა დონეზე
ჩვენში, ჩვეულებრივ, აქტიურად
მოიმუშავე კვალიფიციური მეცნ-
იერები და სპეციალისტები არ-
იან. უარესად არის საქმე სამინ-
ისტროებისა და უწყებების დონ-
ეზე. ეს ქვეგანაყოფები ხშირად
დაკომპლექტებულია ადამიანე-
ბით, რომლებსაც არა აქვთ კავში-
რი მეცნიერებასთან, არ იციან
მისი თანამედროვე სპეციფიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის ყურადღ-
ებისა და მხარდაჭერის მეოხები-
თ, თქვა საქართველოს სსრ სოფლის
მეურნეობის მინისტრმა ამხ.
შ. მ. ეცადაშვილმა, რესპუბლიკა-
ში შექმნილია სოფლის მეურნეო-
ბის კადრების მომზადებისა და
დადამზადების მწყობრი სისტემა.
ამას ემსახურება სამი უმაღლესი,
26 საშუალო სპეციალური სას-
წავლებელი, რომლებიც ყოველ-
წლიურად უმაღლესი და საშუა-
ლო რგოლის ხუთი ათასამდე სპე-
ციალისტს ამზადებენ. სპეციალ-
ისტებს დარგის მოთხოვნების შე-
საბამისად ამზადებენ და ამის
შედეგად სასოფლო-სამეურნეო
საწარმოების 89 პროცენტს სა-
თავეში უდგანან უმაღლესი გა-
ნათლების მქონე მუშაკები. ძირი-
თადად მაღალკვალიფიციური
სპეციალისტები მუშაობენ მთა-
ვარი აგრონომების, ზოოტექნი-
კოსებისა და ვეტერინარი ექიმე-
ბის თანამდებობებზე.

და მაინც, საკადრო პოლიტიკის
ბევრი საკითხი ჩვენში ჯერ კიდევ
გადაუჭრელი რჩება, განსაკუთრ-
ებით ხელმძღვანელობის რაიონულ
რგოლსა და სამინისტროს ცენტ-
რალურ აპარატში. ამ პრობლემებ-
ის გადაჭრისათვის იღვწის სწო-
რედ სამინისტროს ხელმძღვანე-
ლობა.

ორატორის გამოსვლაში დიდი
ყურადღება დაეთმო აბაშის ექ-
სპერიმენტის დანერგვას მთელ
რესპუბლიკაში. სამინისტროს აზ-
რით, თქვა მან, საჭიროა სასოფ-
ლო-სამეურნეო სამმართველოები
ტერიტორიულ სასოფლო-სამეურ-
ნეო საწარმოო გაერთიანებებად
გადაიქცეს. რაიონული მასშტაბის
სამმართველოს ფუნქციებით აღ-
ჭურვილი ერთიანი სამეურნეო
მექანიზმის შექმნა გადაჭრის პრო-
ბლემას, რომელიც მრავალი
წლის მანძილზე გადაუჭრელი
რჩებოდა. იგი შექმნის პირობებს,
რომ გეგმაზომიერად და პროპორ-
ციულად განვითარდეს აგროსამ-
რეწველო კომპლექსები, განხორ-
ციელდეს სასოფლო-სამეურნეო
წარმოების რაციონალური სპე-
ციალიზაცია და კონცენტრა-
ცია სამეურნეოთაშორისო კო-
ოპერაციისა და აგროსამრეწველ-
ო ინტეგრაციის ბაზაზე საქართ-
ველოს კომპარტიის ცენტრალურ-
ი კომიტეტის მეცხრე პლენუმის
გადაწყვეტილებათა შესაბამისად.
ამასთანავე მართვისა და საქმიან-
ობის ამ პროგრესულ ფორმაზე
გადასვლა რეალურ პირობებს
ქმნის იმისათვის, რომ ადგილობ-
რივი სასოფლო-სამეურნეო ორ-
განოები მაღალეფექტიური კა-
დრებით დაკომპლექტდეს.

საქართველოს კომპარტიის წა-
ლკის რაიკომის პირველმა მდივან-
მა ამხ. **ი. ი. ხალიამ** ილაპარაკა
რესპუბლიკის მთის რაიონებისა-
თვის საერთო პრობლემაზე —
მიგრაციაზე. იგი ძირითად ად
იმით არის გამოწვეული, რომ
მთის რაიონებში შრომითი რე-
სურსების სიჭარბეა. უკანასკნელ
ხანს საქართველოს კომპარტიის
ცენტრალურმა კომიტეტმა და
რესპუბლიკის მთავრობამ განახო-
რციელეს მთელი რიგი ღონისძ-
იებანი, რომელთა შედეგადაც
შეეძლებთ აღმოვფხვრათ ეს მოვ-
ლენა. ასეთი ღონისძიებებს, კერ-
ძოდ, განეკუთვნება სამრეწველო
საწარმოთა ფილიალების შენებ-
ლობა, ადგილებზე მეურნეობის
ახალი დარგების შექმნა.

რაიონის სახალხო მეურნეობაში
ყველაზე მეტი ხალხია დასაქმე-
ბული სასოფლო-სამეურნეო წარ-
მოებაში. ჩვენ რაიონის პარტი-
ული ორგანიზაციის გადაუდებელ
ამოცანად მიგვაჩნია მართვის ყვე-
ლა რგოლის დაკომპლექტება სპე-
ციალისტთა კადრებით.

სახალხო მეურნეობის განვითა-
რების ამოცანების გართულება
მოითხოვს გვყავდეს ისეთი სპე-
ციალისტები, რომლებსაც შეუძ-
ლიათ კვალიფიციური რჩევა მი-
ცეს ხელმძღვანელებს იმის თაო-
ბაზე, თუ როგორ აჯობებს ადა-
მიანთა განაწილება, როგორ შე-
უწყონ ხელი წარმოების მართვის
რაციონალიზაციას. ერთი სიტყ-
ვით, ჩვენ გვჭირდება სპეციალის-
ტები, რომლებსაც ეცოდინებათ
ის პრობლემები, რომლებსაც მო-
იცავს მართვის მეცნიერება. საჭ-
მისათვის, ალბათ, დიდად სასარ-
გებლო იქნება, თუ მათ დავაწინა-
ურებდით ადმინისტრაციულ თა-
ნამდებობებზე, მაგრამ მხოლოდ
მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად
განმტკიცებენ უმაღლეს სასწავ-
ლებელში მიღებულ ცოდნას. სა-
მწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მხო-
ლოდ ერთი უმაღლესი სასწავლე-
ბელია, რომელიც წარმოების მა-
რთვის სპეციალისტებს ამზადებს.
ამ მომართულებით კარგი ნაბიჯი
გადადგა ჩვენს რესპუბლიკაშიც
— ხელმძღვანელი კადრებისათ-
ვის შეიქმნა მართვის ინსტიტუტი.

ცენტრალური კომიტეტის პლე-
ნუმზე განსახილველად გამოტა-
ნილ საკითხს უშუალო დამოკი-
დებულება აქვს პროფესიულ-ტ-
ექნიკური განათლების სისტემას-
თან, ვინაიდან მომზადებული,
განვითარებული სოციალიზმისა
და მეცნიერულ-ტექნიკური რევ-
ოლუციის ეპოქაში განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა ენიჭება იმ
მარქსისტულ-ლენინურ დებულ-
ებას, რომ საქმის წარმატებას
ადამიანები, კადრები წყვიტენ,
თქვა საქართველოს სსრ პროფ-
ესიულ-ტექნიკური განათლების
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯ-
დომარემ ამხ. **ხ. ტ. რიგვავამ**. და-
მოანგარიშებულია, რომ მშრომე-
ლთა კვალიფიკაციის, მათი ზო-
გადი განათლების სრულყოფის
შედეგად უზრუნველყოფილია
ეროვნული შემოსავლის მატების
სულ ცოტა 30 პროცენტი.

მეათე ხუთწლედის განვლილი
სამი წლის მანძილზე რესპუბლი-
კა

სანდრო შანშიაშვილი



ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ უდიდესი დანაკლისი განიცადა: 91 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთი დამაარსებელთაგანი და მისი უხუცესი წევრი ალექსანდრე (სანდრო) ილიას ძე შანშიაშვილი.

სანდრო შანშიაშვილი ქართველ მწერალთა დიდი თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში უდიდესი მუშაობა გასწია ქართული ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის იდეურ-მხატვრული გადახალისებისათვის. მისმა მდიდარმა შემოქმედებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში.

სანდრო შანშიაშვილმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ქართველი საზოგადოებრიობისა და სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება, როგორც ახალი თაობის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა და თვითმყოფმა პოეტმა. პროგრესულ-რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა მწერალი თავიდანვე მოწინავე პოზიციებს დაადგა და რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობით შთაგონებულმა ღონივრად შეაშველა მხარი ქართულ ლიტერატურაში ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის, რევოლუციური განწყობის დამკვიდრებას. სწორედ ამისათვის იყო იგი დაპატიმრებული 1907 წელს, როცა მას მეფის მთავრობამ ოფიციალურ ბრალდებად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გრძოლა და თვითმპყრობელობის დამხობის პროპაგანდა წაუყენა.

სანდრო შანშიაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა როგორც ქართული ლირიკული პოეზიის, ისე ეპოსის განვითარებაში. მისმა მრავალრიცხოვანმა პოემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ეპიკური პოეზიის აღორძინება-განვითარებისა და ხალხურობის პრინციპის დამკვიდრების საქმეში. 1907–1909 წლებში მოდერნისტული ლიტერატურისადმი გადებული ხანმოკლე და მცირედი ხარკის მიუხედავად ს. შანშიაშვილი მუდამ მტკიცედ იდგა ქართული რეალისტური ლიტერატურის საფუძველზე.

საზღვარგარეთ (გერმანიაში) სწავლის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს, საქართველოში დაბრუნებული სანდრო შანშიაშვილი კიდევ უფრო მეტი ენერგიით ჩაება ლიტერატურულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მისი ინიციატივითა და ზრუნვით იბეჭდებოდა გაზეთი „საქართველო“, რომელმაც შეძლო მიეზიდა მოწინავე ქართველი მწერლები და დაერაზმა ისინი ეროვნული მწერლობის საქმისათვის. ამ გაზეთის პირველი რედაქტორი სანდრო შანშიაშვილი იყო. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი მრავალრიცხოვანი მხატვრული კრიტიკული ყურადღება, როგორც ახალი თაობის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა და თვითმყოფმა პოეტმა. პროგრესულ-რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა მწერალი თავიდანვე მოწინავე პოზიციებს დაადგა და რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობით შთაგონებულმა ღონივრად შეაშველა მხარი ქართულ ლიტერატურაში ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის, რევოლუციური განწყობის დამკვიდრებას. სწორედ ამისათვის იყო იგი დაპატიმრებული 1907 წელს, როცა მას მეფის მთავრობამ ოფიციალურ ბრალდებად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გრძოლა და თვითმპყრობელობის დამხობის პროპაგანდა წაუყენა.

სანდრო შანშიაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა როგორც ქართული ლირიკული პოეზიის, ისე ეპოსის განვითარებაში. მისმა მრავალრიცხოვანმა პოემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ეპიკური პოეზიის აღორძინება-განვითარებისა და ხალხურობის პრინციპის დამკვიდრების საქმეში. 1907–1909 წლებში მოდერნისტული ლიტერატურისადმი გადებული ხანმოკლე და მცირედი ხარკის მიუხედავად ს. შანშიაშვილი მუდამ მტკიცედ იდგა ქართული რეალისტური ლიტერატურის საფუძველზე.

1940 წ.), „კრწანისის“ გმირები“ (1944 წ.) და სხვა. აღსანიშნავია, რომ სანდრო შანშიაშვილმა უდიდესი მუშაობა გასწია რუსთაველის თეატრის კლასიკური რეპერტუარით გამდიდრებისთვისაც. მისი თარგმანების წყალობით დაიდგა ეპოქის შესაფერისი ისეთი პიესები, როგორიც იყო კერშონის „ქართა ქალაქი“, „ვენეციანოვის „ჭუმა-მაშადი“, გლებოვის „ზაგმუკი“, იანოვსკის „ყამირი“, და ისეთი კლასიკური ნაწარმოებები, როგორიც არის შილერის „ვილჰელმ ტელი“, გოგოლის „ქორწინება“ და მრავალი სხვა.

20-30-იან წლებში შანშიაშვილმა არაერთი ბელეტრისტული ნაწარმოები შექმნა. ამით მან საკუთარი წვლილი შეიტანა ქართული მხატვრული პროზის თანამედროვეობასთან დაახლოებისა და მისი იდეურ-მხატვრული გარდაქმნის საქმეშიც. ზოგიერთი ამ მოთხრობათაგანი („ამბოკარი“, „სამნი“ და სხვ.) დრამატურგიულ ნაწარმოებად გადაკეთდა და სცენაზე დაიდგა.

სანდრო შანშიაშვილის მრავალი პიესა ქართული საბჭოთა კლასიკის ოქროს ფონდში დამკვიდრდა. როგორც საბჭოთა დრამატურგიის შესანიშნავი ნიმუში. პიესა „არსენა“ და „გიორგი საკაძე“ მაღალმხატვრული ორიგინალური ეროვნული დრამის საუკეთესო ნიმუშებად მოგვევლინენ. მის ლიბერტოზე გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორებმა ზ. ფალიაშვილმა და დ. არაყიშვილმა შექმნეს ოპერები „ლაკადარა“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

სანდრო შანშიაშვილი, ეს უანგარო საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი უთვალსაჩინოესი წევრი იყო. ჯერ კიდევ 1927 წელს იგი არჩეულ იქნა ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად, იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე მოწვევის დეპუტატი. 1949 წელს პიესებისათვის „არსენა“, „კრწანისის გმირები“ და „ამირეთის ღამეები“ მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სანდრო შანშიაშვილის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი რამდენიმეჯერ დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა საპატიო წოდებანი.

სანდრო შანშიაშვილის, გამოჩენილი შემოქმედისა და სახელოვანი ქართველი საზოგადო მოღვაწის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მწერლობის ისტორიაში, მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის მატიანეში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. ბილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლგინი, თ. ო. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჟიოანავა, ს. ე. ნაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, ფ. ს. სანაკოევი, ვ. რ. პაპაშვილი, ძ. კ. შარტავა, გ. გ. აბაშიძე, ი. გ. აბაშიძე, ა. დ. ალექსიძე, დ. ა. ალექსიძე, ი. ო. ანდრიაძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, ნ. ვ. გურგენიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, პ. ი. ინგოროყვა, კ. რ. კალაძე, ს. დ. კლდიაშვილი, კ. ა. ლორთქიფანიძე, რ. ა. მარგიანი, ე. ს. მაღრაძე, ნ. გ. ნადირაძე, გ. კ. ნაბროშვილი, ი. ე. ნონეშვილი, გ. შ. ორჯონიკიძე, ბ. ვ. ფოფხაძე, ვ. ვ. ფორეფოლიანი, ნ. ა. ყვანია, ა. ნ. ჟუთათელი, დ. კ. შენგელია, ე. ნ. შენგელია, ჯ. ა. ჩარკვიანი, გ. შ. ციციშვილი, ს. ე. ჭილაია, ნ. შ. ჯანგერიძე, უ. ვ. ჯაფარიძე.

დღეს, 1 ნოემბერს თელავში იხსნება III რესპუბლიკური კინოფესტივალი. ამის გამო „კომუნისტ ი ს“ კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელდარ შენგელაია.

თელავის დიდი ეკრანი

III რესპუბლიკური კინოფესტივალი

— რესპუბლიკური კინოფესტივალის გამართვა უკვე კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. გარდა იმისა, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ გონების თვალით ვამოწმებთ რესპუბლიკის კინოპროდუქციის ავ-კარგს, ამასთანავე ხალხთან, მშრომელებთან ერთად, ვისმენთ მათს შენიშვნებს, რჩევა-დარიგებებს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ამ ღონისძიების ჩასატარებლად მაინცდამაინც დედაქალაქი კი არა, ყოველთვის პერიფერიები ავირჩიეთ. და არც შევმცდარვართ: წინა ფესტივალებზე ქუთაისსა და ბათუმში ბევრი მეგობარი შევიძინეთ, უფრო ახლოს გავიცანით მშრომელი კაცი, მისი ფიქრები და სურვილები.

ვფიქრობთ, ასევე იქნება თელავშიც. იქაური მაყურებელი ნახავს და შეაფასებს 1976-78 წლებში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გამოშვებულ საუკეთესო მხატვრულ, დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის კინონაწარმოებებს.

ფესტივალი ნიშანდობლივია იმით, რომ საკონკურსოდ ძირითადად წარმოდგენილია ქართული კინოს ახალი თაობის ნამუშევრები, შედგება ზოგიერთი ფილმის პრემიერა, მაგალითად, პირველად თელაველი მაყურებელი განსჯის ა. რეხვიაშვილის ფილმის „ქომაგის“, ვ. კვაჭაძის „ჩემი მეგობარი ძია ვანიას“, დ. აბაშიძის „ყვარყვარეს“ და სხვათა სიაკარგეს.

საკონკურსოდ წარმოდგენილია ოგრეთვე დოკუმენტური ფილმები „წინ, კომუნისტებო!“ — ვ. მიქელაძისა, „რეპორტაჟი ნიდერლანდიდან“ — რ. თაბუკაშვილისა და ა. შ., ხოლო ტელეფილმების სტუდიიდან „პრემიერა“ — გ. ლეგაშოვ-თუმანიშვილისა და „როდესაც დედებს სახლი არა აქვთ“, რომელიც ბ. ჩარკვიანისა და თ. მაღალაშვილს ეკუთვნით. საინტერესოა მკითხველმა იცოდეს, რომ თ. მაღალაშვილისათვის ეს ნაწარმოები დებიუტია კინორეჟისურაში, მას ვიცნობთ როგორც თეატრის რეჟისორს, ასევე ა. რეხვიაშვილი ცნობილი ოპერატორია და რეჟისურაში პირველად სცადა ბედი.

იმუშავებს ორი ქიური — მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა. პირველს უხელმძღვანელებს საქართველოს სსრ მხატვარია კავშირის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე, — ხოლო. მეორეს — კინორეჟისორი მ. კოკოჩაშვილი.

ქიურის შემადგენლობაში კინემატოგრაფისტებთან ერთად შედიან თელავის რაიონის მოწინავეები — წარჩინებული მევენახეები, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ქევხიშვილი, გ. მტბრალიშვილი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ქორთუა და ა. შ.

დაწესებულია ორი პირველი პრემია. ერთი გადაეცემა საუკეთესო სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს, ხოლო მეორე — საუკეთესო მოკლემეტრაჟიანს. დაწესებულია აგრეთვე პრიზები ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებლებისათვის, საუკეთესო სცენარის, მხატვრული და მუსიკალური გაფორმებისათვის.

პრემიერებული იქნება აგრეთვე საუკეთესო დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, მათი საუკეთესო სცენარები, ოპერატორული ნამუშევარი.

მესამე რესპუბლიკური კინოფესტივალი, რომელიც 4 ნოემბრამდე გასტანს, ხელს შეუწყობს ქართული კინოხელოვნების შემდგომ აღმავლობას, ახალგაზრდა, იმედისმომცემი კინომუშაკების ზრდასა და დაოსტატებას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მწერალთა კავშირის უხუცესი წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

სანდრო ილიას ძე შანშიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სამხედრო გზა თეთრ ქარავანს დაუფარავს: ცხვარს ზამთრის საძოვრებისაკენ მიერეკებიან. მხოლოდ ეხპიისპირეთში დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, ჯავის, თიანეთის რაიონების 600 ათასზე მეტი ცხვარი გამოიზამთრებს.

დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის ფარას სათავეში უდგას ცნობილი მეცხვარის ვასილ ბურდულის ბრიგადა, რომელსაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს კოლმეურნეობაში. მან ყოველ დედაცხვარზე გეგმით გათვალისწინებულზე 9 ბატკნით მეტი, ხოლო ყოველ ცხვარზე დამატებით 700 გრამი მატყლი მიიღო.

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გამოზამთრებისათვის მომზადებულია ათობით დათბუნებული სადგომი, ზოოტექნიკური პუნქტი, საკვების საშენრო მარაგი.

600-კილომეტრიან გადასარეკ ტრასაზე მეცხვარეებს ემსახურება ავტოფარდულები, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოძრავი სახელოსნოები, აგიტმხატვრული ბრიგადები.

ცხვარი ყიზლარისაკენ დაიძრა

სურათებზე: დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვასილ ბურდული (მარჯვნივ); სოფელ მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის მწყემსები ვასილ წიკლაური (მარცხნივ) და მოსე ყველაიძე კოცონთან შესვენების დროს; თეთრი ქარავანი საქართველოს სამხედრო გზაზე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მშრომელი კაცის სუფრას

როგორ მოეწყობა ვაჭრობა სადღესასწაულო დღეებში? საქინფორმის კორესპონდენტს ამ კითხვაზე უპასუხა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ო. ეჯიბაძემ.

— წელს თბილისის სავაჭრო ქსელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მარტო დღესასწაულის წინ გაიხსნა მაღაზიები „დათუნია“, „სუვენირები“, „ოლიმპიადა-80“. დღესასწაულისწინა დღეებში პირველ მაღაზიებს მიიღებს გლდანის მასივის სავაჭრო ცენტრი.

ახალი მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობასთან ერთად წყდება მოქმედი პუნქტების რეკონსტრუქციის პრობლემაც. დახლის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებმა და სტუმრებმა სწრაფად და ადვილად შეიძინონ საჭირო პროდუქტები და საქონელი. 1-8 ნოემბერს სასურსათო მაღაზიები იმუშავებენ 23 საათამდე, სამრეწველო საქონლის მაღაზიები — 21 საათამდე.

ყოველდღიურად ჩვენი ქალაქის სავაჭრო ქსელი მიიღებს 154 ტონა ხორცს, 95 ტონაზე მეტ დაკლულ ფრინველს, 83 ტონა ყველს, მილიონ ცალ კვერცხს, 45 ტონა ძეხვეულს, 23 ტონა ცოცხალ და შებოლილ თევზს, 250 ტონა ხორბლისა და სიმინდის ფქვილს, 54 ტონაზე მეტ საკონდიტრო ნაწარმს.

თბილისის ყველა რესტორანში მოეწყობა ოჯახური და ამხანაგური შეხვედრები, გარდა ამისა რესტორნები მსურველებს სთავაზობენ ყოველივე საჭიროს სუფრის გაწყობისათვის, მიიღებენ კერძების დამზადების შეკვეთებს. საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოში სადღესასწაულო დღეებში მოეწყობა ეროვნული და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-ვაჭრობა.

სიახლე იქნება დიდი სადღესასწაულო ბაზრობა „ეროვნული მოდგომა“, რომელიც საქართველოს დედაქალაქის „ყველა სასიამოვნო ბაზრობა“ გამოთავისება.

ამ დღეებში თბილისისაკენ მომავალ ყველა გზაზე სურსათსანოვაგით დატვირთული ავტომანქანები მოემართებიან. ამ პროდუქტებს სადღესასწაულოდ გვაწვდის 50-ზე მეტი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

გაჩაღებულია სამრეწველო საქონლის შემხვედრი ვაჭრობა. 40 მაღაზიამ, 20 პავილიონმა და ასმა დამტარებელმა სოფლის მცხოვრებლებს მოუმზადეს სასიამოვნო სიურპრიზები.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოსთან შეიქმნა სადღესასწაულო დღეებში ვაჭრობის ხელმძღვანელობის შტაბი.

ცისფერი ალი მთაში

ბუნებრივი გაზი ეწვია ყაზბეგის რაიონის გორისციხის სასოფლო საბჭოს სოფლების მცხოვრებთა ოჯახებს. გაზსადენი გაჰყავთ სოფელ კობის მიმართულებითაც. საექსპლოატაციოდ მისი გადაცემით დამთავრდება მთელი რაიონის გაზიფიკაცია.

ბუნებრივ გაზს აწვდიან ახლა რაიონული ცენტრის—მარნეულის, ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის მცხოვრებთ. წლის დამლევამდე გაზს მიიღებენ თელავის რაიონის სოფელ წინანდლის მცხოვრებნიც.

იქ კი, სადაც ჯერ არ გაუყვანიათ გაზსადენი, სოფლის მშრომელებს ყოველდღიურად 60 ათას ბალონზე მეტ თხევად გაზს აწვდიან.

— ახლა ბუნებრივი და თხევადი გაზით, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ „მთავარგაზის“ უფროსმა ბ. ლობჟანიძემ, — სარგებლობს რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის 82 პროცენტი, ჩვენი ამოცანაა რაც შეიძლება ფართოდ მოვამზადოთ სოფლის მცხოვრებლები ბუნებრივი სათბობით. უახლოეს წლებში გაზსადენების განშტოებული ქსელი მოიცავს რესპუბლიკის ყველა რაიონს.

შენდება და მომავალ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა გაზის მაგისტრალი წითელწყაროდან ზუმოკედამდე.

ბუნებრივი გაზით უკვე მუშაობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. (საქინფორმი).

ᲙᲐᲠᲝᲑᲐᲗᲘᲙᲐ

თავი ისახელეს

კიზინიოვში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში თავი ისახელეს ქართველმა აკრობატებმა. ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში ყველას აჯობეს და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისელებმა ნანა კაკილაშვილმა, მანანა მნათობიშვილმა და მაია შილაკაძემ (ასკ). ვაჟთა წყვილებში ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ დავით გგაშვილი და ზურაბ ნიკოლაიშვილი („შრომითი რეზერვები“). აკრობატულ ხტომებში უძლიერესნი იყვნენ მაგნიტოგორსკელი ეუკოვა და მინსკელი ბინდლერი. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს კიეველებმა ხრიპუშინამ და ნოსონოვიჩმა. ვაჟთა წყვილებში პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს კიეველებმა ტიშლერმა და პეტროვმა, აგრეთვე იაროსლავლელებმა ჩიქიკინმ და ლიაპუნოვმა. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში პირველობა მოიპოვეს ვოლგოგრადელებმა პოლიაკოვმა, საველიევმა, ბუნინმა და ელიზაროვმა, შერეულ წყვილებში კი იაროსლავლელებმა გრიშჩენკომ და მიხალიჩევმა.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

რჩევა სამი ტური

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეთხუთმეტე ტურში ზაიჩიკმა დაამარცხა ვეფხიშვილი, აზმაიფარაშვილმა — ჩაჩიბაია, ბაბახანოვმა — ეფიმოვი, ბოკუჩავამ — გია. გიორგაძე, ყაიმზე შეთანხმდნენ შიშოვი-ხახთაძე და გედევანიშვილი-ჩეჩელიანი. დაწარჩენი პარტიები გადაიდო.

მეთექვსმეტე ტურში სტურუამ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია გრძელიშვილთან, ზაიჩიკმა თანამბარში — ხახთაძესთან აზმაიფარაშვილმა მოუგო ბოკუჩავას, უბილავამ — ჩახოიანს, ბაბახანოვმა — ჩაჩიბაიას, ჩეჩელიანმა — ვეფხიშვილს. ნეიროფნოვი და გედევანიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. დაწარჩენი პარტიები გადაიდო. ადრე გადადებულ პარტიაში უბილავა და ზაიჩიკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

16 ტურის შემდეგ სტურუას 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მას სათამაშო ორი პარტია დარჩა, ზაიჩიკმა 10 ქულა მოაგროვა და 2 გადადებული პარტია აქვს. მას სათამაშო დარჩა 3 პარტია.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ორი ფრე

გუშინ მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩი სსრ კავშირისა და ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამ შეხვედრას წმინდა სპორტიული ხასიათი ჰქონდა, რადგან ჯგუფში გამარჯვებული და ფინალური ტურნირის საგზურის მფლობელი უკვე კარგა ხანია ცხობილია, ეს არის საბერძნეთის ნაკრები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ნაკრებში ამჯერად მიწვეული იყვნენ ბობელი, ჩივაძე და ფარაასლია. რადგან თბილისის „დინამოს“ „პამბურგთან“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატთა თასის განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრა ელის, აღნიშნულმა ფეხბურთელებმა ფინელებთან ერთამაშეს, რაც შეიხლა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ დინამოელების მატჩს, იგი 3-ის ნაცვლად 2 ნოემბერს გაიმართება.

ახლა დავუბრუნდეთ სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას.

პირველი ტაიმში არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის კართან, მაგრამ კარგად წამოწყებული კომბინაციები ვერცერთმა მხარემ გოლით ვერ დაგვირგვინა. მატჩის 50-ე წუთზე ანდრეევი შეიჭრა ფინელთა საჯარიმო მოედანზე და ზუსტი დარტყმით მეტოქეთა კარი აიღო. 58-ე წუთზე მეორე ბურთი გაიტანა ბავრილოვმა. ამის შემდეგ მასპინძლებმა ერთგვარად მოადუნეს თამაში და ჯერ ხიმინკამ (75-ე წუთზე), შემდეგ კი ხაკოლამ სასპასუხო ბურთები გაიტანეს (82-ე წუთზე). საბოლოოდ ფრე — 2:2.

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გონტარი, ბერეზუნი, ბუბნოვი, მახოვიკოვი, ხიდიაკუნინი, შავლო, ანდრეევი, ვერემეევი, გავრილოვი, ბესონოვი (ოგანესიანი), იურჩენინი (კაზაჩოროკი).**

გუშინვე სიმფეროპოლში გაიმართა იუნიორ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (მეექვსე ჯგუფი) სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდებს შორის. ეს შეხვედრაც ფრედ დამთავრდა — 1:1. ბურთები გაიტანეს პირნინენმა (55-ე წუთზე) და აჯემმა (62-ე). საბჭოთა ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში ტურნირის დამთავრებამდე გაიანაოდა პირველი ადგილი.

ᲢᲠᲘᲣᲛᲕᲘᲠᲐᲢᲘ

საქართველოს ფეხბურთელთა პირველობის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე გათამაშების სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა ერთდროულად სამი გუნდი — რუსთავის „მეტალურგი“, ტყიბულის „მეშახტე“ და გალის „მზიური“, რომლებმაც 50-50 ქულა მოაგროვეს. პირველმა ორმა 35-35 შეხვედრა ითამაშა, „მზიურმა“ კი ერთი მატჩით მეტი ჩაატარა.

ბოლო ტურში რუსთაველები ზესტაფონში ადგილობრივ „მეტალურგს“ ეთამაშნენ და ანგარიში მასთან — 1:1. „მეშახტის“ ფეხბურთელებმა საინტერესო და დაძაბულ მატჩში გამარჯვება მოიპოვეს თელავის „ალეთთან“ — 4:3. გალის „მზიურმა“ მინიმალურ უპირატესობას მიაღწია გეგეჭკორის „სალხინოსთან“ შეხვედრაში — 2:1.

ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ასე ასათაურებს რიო-დე-ჟანეიროს ქალთა საზონათშორისო ტურნირის მიმოხილვას ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“. მიმოხილვის ავტორია იუგოსლავი საერთაშორისო არბიტრი მილოშ პეტრონიჩი, რომლის მეუღლე უნგრელი დიდოსტატი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი ამავე შეჯიბრებაში მონაწილეობდა.

„თუ ოდესმე ვინმემ საზონათშორისო ტურნირში ისეთსავე შეღებვა მიაღწია, როგორიც ამჟამად ნანა იოსელიანს ჰქონდა, იგი, ალბათ გაცილებით მეტ ქებას დაიმსახურებს, ვიდრე ეს მციროდენი ცნობებია, ახლა კანტიკუნტად რომ იბეჭდება პრესაში. დღემდე ვერავინ დაიკვეხნის ასეთ შეღებვას, მათ შორის ვერც ფენომენური რობერტ ფიშერი და ისეთი მოიერიშე, როგორიც მიხეილ ტალია. რა აზრისა არის ამაზე ნანა იოსელიანის მწვრთნელი ვლადიმერ იურკოვი, შეახნის კაცი? ნანა იოსელიანს იგი მაისიდან მოყოლებული წვრთნის, მანამდე კი მას ავარჯიშებდა ქართველი ოსტატი უბილავა, რომელთანაც ერთად ორჯერ იყო იუგოსლავიაში მოჭადრაკე გოგონათა ევროპის ჩემპიონატებზე. მაშინ ნანამ ორივეჯერ პირველი ადგილი დაიკავა“.

პეტრონიჩისან საუბარში იურკოვმა თქვა: „ნანა ბეჯითი, სიმპათიური გოგონაა, შესანიშნავი მეხსიერება აქვს და ჩინებულად ითვისებს ყველაფერს, რასაც ასწავლი. ამ ტურნირში იგი სრულიად ახალი სადებიუტო რეპერტუარით ჩაება, პირველად გამოიყენა ის ვარიანტები, რომლებითაც ახლა ასე იოლად იმარჯვებდა. ჩვენ სამეულში გასასვლელად ვაპირებდით ბრძოლას და არ გვეგონა, რომ ყველაფერი ასე იოლად, თითქმის უბრძოლველად გამოგვივიდოდა...“

შემდეგ პეტრონიჩი წერს, რომ ნანა იოსელიანი და მისი მწვრთნელი ხან ერთად ვარჯიშობენ, ხან წერილებს სწერენ ერთმანეთს. 1979 წელს ისინი თანამშრომლობდნენ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირსა და გუნდურ შეჯიბრებებში. „იგი ახლაც ნანას სეკუნდანტი იქნება პრეტენდენტთა მომავალ მატჩებში... ნანა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ვაჟთა საზონათშორისო ტურნირს, სადაც ბალაშოვის, სუნიეს, ივკოვის და აგრეთვე დანარჩენი საბჭოთა დიდოსტატების გულშემატკივარი იყო. ნანას შეეძლო თავისი ტურნირის მეორე ნახევარში შეეწყვიტა იერიში და დარჩენილი პარტიები ყაიმით დაემთავრებინა, მაგრამ განაგრძო თამაში სხვა საბჭოთა მოჭადრაკეების გულისათვის, რომლებიც მან პირად შეხვედრებში დაამარცხა ანგარიშით 3:0. იოსელიანს ძალიან გაუხარდა, როდესაც შეიტყო, რომ მოწვეულია ბელგრადის ტრადიციული 8 მარტის ტურნირში“.

კორესპონდენტის კითხვაზე, რიო-დე-ჟანეიროს საზონათშორისო ტურნირი უფრო ძლიერია თუ ალიკანტესეო, იოსელიანმა უპირატესობა ამჟამად ესპანეთში მიმდინარე შეჯიბრებას მიანიჭა. მისი აზრით, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ზაფხულში გაიმართა (აქ იოსელიანი უკანასკნელისწინა ტურში დამარცხდა და მესამე ადგილზე გამოვიდა), ასევე აღემატებოდა რიო-დე-ჟანეიროს ტურნირს, მისი შემადგენლობა უფრო თანაბარი იყო. ორივე აზრი, რა თქმა უნდა, სუბიექტურია და უფრო მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატის თავმდაბლობასა და ტაქტზე მიუთითებს.

გ. გამრეკელი.

ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ნოემბერი-შემოდგომის ბ[illegible] „[illegible] „[illegible]“ [illegible] „[illegible]“ [illegible] „[illegible]“ [